წარმოსადგენი დოკუმენტები

- პოტენციური ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (სამეწარმეო სტატუსის შემთხვევაში);
- ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან რეგისტრაციის ძალაში მყოფი მონაცემების შესახებ (ბიზნესოპერატორის რეგისტრაცია);
- სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნული სისტემის (NAITS) შესაბამისად გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პოტენციური ბენეფიციარის საფუტკრე მეურნეობად რეგისტრაციისა და არანაკლებ 10 ფუტკრის ოჯახის (არანაკლებ 10 სკის) ფლობის ფაქტს;
- შესასყიდ სკაზე მიმწოდებლის მიერ პოტენციური ბენეფიციარისთვის გამოწერილი ინვოის(ებ)ი ან/და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ქართულ ენაზე, იმპორტის შემთხვევაში, ასევე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თითოეული სკის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების (უნიკალური ნომრის) შესახებ;
  შენიშვნა:
    - *უნიკალური ნომერი უნდა შედგებოდეს მიმწოდებლის (მწარმოებელი/რეალიზატორი) საიდენტიფიკაციო ნომრისა და შესაბამისი რიცხვისგან. მაგ: საიდენტიფიკაციო ნომერი - 1, საიდენტიფიკაციო ნომერი - 2 და ა.შ. თითოეული პოტენციური ბენეფიციარის მიერ შესასყიდი სკების რაოდენობის მიხედვით;*
    - *უნიკალური ნომერი დატანილ უნდა იქნეს სკაზე იმ სახით, რომ იკითხებოდეს უნიკალური ნომერი სრულად და გარე ზემოქმედებიდან/ფაქტორებიდან გამომდინარე შეუძლებელი იყოს მისი პირვანდელი იერსახის ცვლილება.*
- საბანკო რეკვიზიტები;
- სხვა დამატებითი დოკუმენტები, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.